განკარგულება:**გ-37. 37261192**
თარიღი:**29/04/2026**

განკარგულება N17

29 აპრილი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 26.19.15.178) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, 850 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.19.15.178), უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, სსიპ - საქართველოს საპატრიარქოსათვის გადასაცემად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი